შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
Work and Organizational Psychology

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი _ ფსიქოლოგიის

ფსიქოლოგიის მაგისტრი - MA in Phsychology; შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია - **Work and Organizational Psychology**

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

პროფ. გ. ქირია; პროფ. ია კუტალაძე

4. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **მიზანი** _ პროგარამის მიზანია მოამზადოს მკვლევარები და პრაქტიკოსი ფსიქოლოგები შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში, რომელთაც შეეძლებათ ორგანიზაციაში ადამიანის ქცევის განმაპირობებელი მოვლენების, ადამიანსა და ორგანიზაციას შორის ურთიერთმოქმედების სისტემური ანალიზი და ადამიანური რესურსის ეფექტურობის პროექტირება.

- **შედეგი** _ სამაგისტრო პროგრამის დაუფლების შემდეგ შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მაგისტრს ექნება ცოდნა კყრსით განსაზღვრულ საგნებში. შეეძლება მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, პრობლემების გადაჭრა დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე კონტექსტში.

- **დასაქმების სფეროები** _ სხვადასხვა ტიპის ორგანზაციები (კერძო, სახელმწიფო, არასამთვარობო) _ ფსიქოლოგი, ადამიანური რესურსის მენეჯერი, განვითარების სპეციალისტი.

5. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

აუცილებელი საკავალიფიკაციო მოთხოვნები

- ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, მენეჯმენტში ან სოციოლოგიაში.
- ნიშნების მინიმალური დასშვები ნორმა 4.

- ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნა B1 დონეზე.

სასურველია ***(არასავალდებულო მოთხოვნა)***

- მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში
- სტაჟირება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში